აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №8

1 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

დღის წესრიგი

1. განკარგულება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის სახის დამტკიცების თაობაზე;

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმაში (ხარჯთაღრიცხვაში) ცვლილებების შეტანის შესახებ;

3. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების შესახებ;

4. სხვადასხვა;

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა,
კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, სიმონ ჩხაიძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, მამუკა წულუკიძე, ლევან ჩავლეიშვილი.
სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა.
სხდომის დაწყებამდე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გ. მჭედლიძე, რომელმაც სხდომას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების შესახებ დადგენილების პროექტი და ითხოვა მისი დღის წესრიგში შეტანა. პროექტის დღის წესრიგში შეტანას კენჭი ეყარა და დამტკიცდა მეოთხე საკითხად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის – განკარგულების პროექტი საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის სახის დამტკიცების თაობაზე

წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. სხდომის მონაწილეებს დარიგებული ჰქონდათ საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის ნიმუში. სხდომის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ მადლობა გადაუხადა ცესკოს თავმჯდომარეს ბატონ დიმიტრი ქიტოშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც გასწია ცესკომ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად და დასძინა, რომ არსებული საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის ნიმუშიც თბილისიდან გამოიგზავნა. წარმოდგენილი ნიმუშის ირგვლივ შენიშვნები და კამათი არ ყოფილა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ განკარგულების პროექტს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმაში (ხარჯთაღრიცხვაში) ცვლილებების შეტანის შესახებ, სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა. მან წარმოადგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 26 მაისის №01/1 დადგენილებით 2004 წლის 2 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმაში (ხარჯთაღრიცხვაში) ცვლილების შეტანის პროექტი, რომელშიც გაიპარა მექანიკური შეცდომა. პირველი გვერდის მე-4 პუნქტის შესაბამის გრაფაში „ამომრჩევლის ბარათის“ გასწვრივ არის შემდეგი მონაცემები „300 000X0,002“, უნდა ყოფილიყო 300 000X0,02. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. დადგენილების ცვლილების პროექტს კენჭი ეყარა და იქნა მიღებული ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების თაობაზე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გ. მჭედლიძე, რომელმაც ისაუბრა 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებზე კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების განხორციელების წესებზე. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე კომისიის წევრი ს. ჩხაიძე. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისს ჩასატარებელი არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტთა რიგითობის დადგენის შესახებ – სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გ. მჭედლიძე, რომელმაც განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული ხელახალი არჩევნებისათვის რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს მიეცეთ უფლება, განცხადებით მიმართონ უსკოს არა უგვიანეს 2004 წლის 12 ივნისისა და მოითხოვონ არჩევნებში მონაწილეობა იგივე რიგითი ნომრით, რომელიც

მათ მინიჭებული ჰქონდათ 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული ხელახალი არჩევნებისათვის. დადგენილების პროექტს არ დაეთანხმა კომისიის წევრი ს. ჩხაიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტში მოცემულ პირველ და მეორე მუხლებს არ ეთანხმება, რადგან მისი აზრით ის არ გამომდინარეობს კანონიდან ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი''-ს 25-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან და არ ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ''. უფრო მეტიც - დასძინა მან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიების და საარჩევნო ბლოკების რიგითობა დგინდება წილისყრით. იგივე აზრი გაიზიარა კომისიის წევრმა გ. დუაძემ. წარმოდგენილი პროექტი დადგა კენჭისყრაზე და შვიდი ორის წინააღმდეგ იქნა მიღებული. წინააღმდეგი წავიდნენ: გ. დუაძე, ს. ჩხაიძე.

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ სხდომაზე მოიწვია საორგანიზაციო სამსახურის უფროსი ვ. გიორგაძე, რომელმაც მოკლედ ისაუბრა მიღებული დავალების შესრულებაზე და დასძინა, რომ უბნები 2 ივნისისათვის მზად იქნება სამუშაო პროცესის დაწყებისათვის. კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ორგანიზებული და მობილური მუშაობისათვის.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
მდივანი	გ. მჭედლიძე